ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №227

2016 წლის 29 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

,,დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური

დახმარების პროგრამის" დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
პროგრამა

2017 წელი
ზომის ერთეული - ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

   დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

   " 1 იანვარი " 2017 წ.

   " 31 დეკემბერი " 2017 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

   20 000 (ოცი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი	20 000	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

   მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/დანორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	დედ-მამოთ ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარზე გაცემის მაჩვენებელი
		ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი

1	მოქალაქეების განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	20000			20000
დამატებითი					0
	სულ	20000	0	0	20000

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თვეთა რაოდენობა	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)

2017წელი						
	სოციალური უზრუნველყოფა					
1	დედ-მამით ობოლი ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	ბენეფიციარი	17	100	12	20000
სულ სოციალური უზრუნველყოფა						

დამატებითი ინფორმაცია:

დახმარების გაცემა მოხდეს 2017 წლის იანვრის თვიდან 2017 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

უფლებამოსილი პირი (მეურვე) მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებელის ან და გამგებლის მოადგილის რეზოლუციით შედის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს გამგებელს დახმარების დანიშვნის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ყოველთვიურად ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე დახმარებას.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

დახმარების გაცემა გაუგრძელდეს 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს რომლებიც ღებულობდნენ ყოველთვიურ დახმარებას 2008-2016 წლებში და წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტები და ასევე ყველა პირს, რომელიც მიმდინარე წელს დადგება აღრიცხვაზე, მიეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. დაბადების მოწმობის ასლი
2. დედ-მამის გარდაცვალების ცნობის ასლი, თუ მარტოხელა დედაა იმ შემთხვევაში დედის გარდაცვალების ცნობა.
3. ცნობა პენსიის არსებობის შესახებ
4. მეურვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
5. მეურვის პირადობის მოწმობის ასლი

დახმარება ენიშნება დედ-მამით ობოლ ბავშვს განცხადების შემოტანის თვიდან, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს უსრულდება 18 წელი დახმარება უწყდება ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.